საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6084
13/10/2022

6084-21-2-202210131434

შპს „საქართველოს მოსავალს“
მის: ქ.თბილისი, საბურთალოს რ-ნი, გამსახურდიას გამზ №34/ ალ.ყაზბეგის გამზ. №2
ელ.ფოსტა: ecometer@gmail.com al.narsia@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4703 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენში სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, კომპანია მორწყვისათვის საჭირო წყალს მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებს შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“. მონაცემთა გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ კომპანიას - შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსგან არ აქვს მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილება და არ აქვს შეთანხმებული ზედაპირული წყლის ობიექტიდან (მდ. უმპია) წყლის ამოღებაზე ტექნიკური პირობები. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს რეზერვუარისა და ტუმბოს განთავსების GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს რეზერვუარიდან წვეთოვან სარწყავ სისტემამდე გათვალისწინებული მილების პარამეტრების შესახებ ინფორმაცია (სიგრძე, დიამეტრი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო